პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოცემის მე-8 წელი

№ 14 (509) კვირა, 17 თებერვალი, 1952 წ. ფასი 30 კაპ.

დ ე პ ე შ ა

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარეს ამხანაგ მაო ძე-დუნს

პეკინი

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მეორე წლისთავის გამო მიიღეთ, ამხ. თავმჯდომარევ, ჩემი გულითადი მილოცვა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის ინტერესებისათვის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის კავშირისა და თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების სურვილი.

**ი. ს ტ ა ლ ი ნ ი**

დ ე პ ე შ ა

## საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მეორე წლისთავის გამო ნება მიბოძეთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ჩინელი ხალხის სახელით დიდი მადლობა ვუძღვნა და მხურვალედ მივულოცო დიდ საბჭოთა ხალხს, საბჭოთა მთავრობას და პირადად თქვენ.

ჩვენ მადლობას გიძღვნით იმისათვის, რომ ორი წლის მანძილზე საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ხალხი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების და ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შეთანხმებების სულისკვეთებით, მხურვალე და უანგარო მხარდაჭერას უწევდნენ ჩინეთის მთავრობას და ჩინელ ხალხს, რაც დიდად დაეხმარა ახალი ჩინეთის სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებას და სახელმწიფოს განმტკიცებას.

ჩვენ მივესალმებით ჩინელი და საბჭოთა ხალხების დღითიდღე მზარდ დიდ მეგობრობას. ჩინეთისა და სსრ კავშირის ძლიერი კავშირი უძლეველი ძალა და მტკიცე გარანტიაა იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ და შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისა და უშიშროების დაცვისათვის ბრძოლაში, აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშვიდობის დიადი საქმის დაცვაში გამარჯვების გარანტიაა.

გაუმარჯოს ჩინეთისა და სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობასა და ერთიანობას!

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის თავმჯდომარე**

**მ ა ო ძ ე - დ უ ნ ი**

1952 წლის 11 თებერვალი, ქალაქი პეკინი.

# საბჭოთა სპორტსმენი

**კალათბურთში** ევროპის 1951 წლის პირველობის დამთავრების შემდეგ, საბჭოთა კალათბურთელმა ვაჟებმა — ჩემპიონებმა, საფრანგეთის ქალაქებში რამდენიმე ამხანაგური შეხვედრა გამართეს ადგილობრივ გუნდებთან.

დასკვნითი მატჩი მათ ჰქონდათ პატარა ქალაქ ანტიბაში. სსრ კავშირის სპორტსმენთა წინააღმდეგ თამაშობდნენ უძლიერესი ფრანგი კალათბურთელები. შეხვედრა დამთავრდა ჩვენი ქვეყნის გუნდის გამარჯვებით — 68 : 28.

მატჩის შემდეგ საბჭოთა კალათბურთელები სპორტულ მეტოქეებთან ერთად ერთ გასახდელ ოთახში მოხვდნენ და ფრანგების ასეთ ლაპარაკს მოჰკრეს ყური: „კი მაგრამ, რატომ იმარჯვებენ სულ საბჭოთა კალათბურთელები?“ იკითხა ერთმა; მეორემ მშვიდად უპასუხა: „იმიტომ, რომ ისინი ძალზე ძლიერები არიან, საშინელი ძალით გვაწვებიან და იმარჯვებენ კიდეც“; მესამემ ასეთი აზრი გამოთქვა: „საკვირველია, როგორ შეიძლება ასე დაუზოგავად რბენა, როგორც ისინი დარბიან?“. ვილაცამ უკანასკნელს უპასუხა, რომ „სირბილის გარდა, საბჭოთა კალათბურთელებს მაღალი ტექნიკა აქვთო“. და ბოლოს, საფრანგეთის ნაკრების წევრმა სალინიენმა ასეთი დასკვნა გააკეთა: „კი, ისინი დარბიან ენერგიის დაუზოგავად, მათ აქვთ ძალაც, მტკიცე ნებისყოფაც, ტექნიკაც, ტაქტიკაც. ამიტომაა, რომ იმარჯვებენ“.

დედასამშობლოსადმი, მშობლიური სტალინისადმი უსაზღვრო სიყვარული, ბოლშევიკური პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი თავდადება, გამარჯვებისადმი შეუნელებელი ლტოლვა, მტკიცე ნებისყოფა დასახული მიზნისათვის ბრძოლაში, მაღალი ფიზიკური, მორალური, კულტურული და სპორტული ჩვევები,—აი, თვისებები, რომლებიც ახასიათებს საბჭოთა სპორტსმენს.

ეს შესანიშნავი ჩვევები საბჭოთა სპორტსმენებს აღუზარდა და გამოუწრთო პარტიამ და მთავრობამ, გენიალურმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა.

საბჭოთა სპორტსმენი — კომუნიზმის აქტიური მშენებელი — დაუღალავად იბრძვის დედასამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებსა და სამეცნიერო ლაბორატორიებში, ტრანსპორტსა და ახალმშენებლობებზე გმირული, შემოქმედებითი საქმიანობით საბჭოთა სპორტსმენს თავისი წვლილი შეაქვს სოციალისტური სახელმწიფოს შეუნელებელი წინსვლის საქმეში.

რა ვეებერთელა ზღვარია საბჭოთა სპორტსმენსა და ბურჟუაზიული ქვეყნების სპორტსმენთა შორის. მთელი თავისი არსებით, შეგნებით, მორალით საბჭოთა სპორტსმენი ძირფესვიანად განსხვავდება იმ სახელმწიფოთა სპორტსმენებისაგან, სადაც არის ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ჩაგვრა, რასობრივი დისკრიმინაცია, ეკონომიური და პოლიტიკური უუფლებობა.

და სწორედ, მრავლის მეტყველია ზემომოყვანილი საუბარი ფრანგი კალათბურთელებისა, რომელთათვის ძნელი გასაგებია ჩვენი სპორტსმენების გამარჯვებათა „საიდუმლოება“.

საბჭოთა სპორტსმენის ფორმირება —ეს არის შედეგი იმ დიდმნიშვნელოვანი ისტორიული გარდაქმნებისა, რაც განახორციელა ჩვენს ქვეყანაში ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ, საბჭოთა ხალხმა. ისეთი სპორტსმენი, როგორიც ჩვენია, არ ახსოვს მსოფლიოს.

ფიზიკური კულტურა და სპორტი ჩვენს ქვეყანაში მშრომელთა კომუნისტური აღზრდის განუყოფელი ნაწილია. ფიზკულტურის კომიტეტების, ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების, მწვრთნელების, მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების კეთილშობილური მოვალეობაა დაეხმარონ ბოლშევიკურ პარტიას კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა აღზრდაში.

მოწინავე საბჭოთა სპორტსმენების მაგალითზე ჩვენ უნდა აღვზარდოთ ფიზკულტურელთა მომავალი თაობა და შთაუნერგოთ მას მაღალი დისციპლინა, თავდაჯერილობა, მეგობრობისა და კოლექტივიზმის გრძნობა, პატივისცემა სპორტული მეტოქისადმი.

შეუნელებელი, გეგმიანი მუშაობა საბჭოთა სპორტსმენების იდეურ-პოლიტიკური და ტექნიკური დონის შემდგომი ამაღლებისათვის კიდევ უფრო წინ წასწევს საბჭოთა ფიზკულტურულ მოძრაობას. ეს მუდამ უნდა ახსოვდეთ ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს, რომლებიც დაუღალავად იბრძვიან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის დეკემბრის ისტორიული დადგენილების ცხოვრებაში განუხრელად გატარებისათვის.

☆

## დიდი თარიღის აღსანიშნავად

**გორი.** საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 31-ე წლისთავთან დაკავშირებით ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტმა მოაწყო შეჯიბრება ქალაქის სკოლების კალათბურთელთა გუნდებს შორის.

ასპარეზობაში გამარჯვებული გამოვიდა ვაჟთა პირველი საშუალო სკოლის II გუნდი. მეორე ადგილზე ვაჟთა მე-2 საშუალო სკოლის I ნაკრები.

**ნ. ბერიძე**

## საბჭოთა მოკრივეები ფინეთში

საბჭოთა მოკრივეები, რომლებიც ფინეთში იმყოფებიან სტუმრად, 9 და 10 თებერვალს შეხვდნენ ფინელ მოკრივეებს ქალაქ იუვიასკიულიაში.

საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს ყველა შეხვედრა. ბ. სტეპანოვმა აიძულა თავისი მოწინააღმდეგე რაუტიაინენი ბრძოლა შეეწყვიტა მე-3 რაუნდში. ორი გამარჯვება ქულებით მოიპოვა საბჭოთა მოკრივე სოკოლოვმა, რომელიც შეხვდა ტუომინენს და ფინეთის ცნობილ მოკრივე ოხვანაინენს.

საბჭოთა მოკრივეებმა ტიშინმა და პეროვმა, რომელთათვისაც არ აღმოჩნდნენ მოწინააღმდეგეები, ერთმანეთთან ჩაატარეს საჩვენებელი შეხვედრა. ფინეთის პრესა აღნიშნავს, რომ ამ შეხვედრაში ორივე საბჭოთა მოკრივემ მაღალი ტექნიკა აჩვენა.

ამრიგად, ფინეთში საბჭოთა მოკრივეების გამოსვლების საერთო ანგარიშია 8 : 0 სსრ კავშირის სპორტსმენთა სასარგებლოდ.

## 6 ქალაქის შეხვედრა კალათბურთში

**გორი.** (ჩვენი სპეც. კორ.). პედინსტიტუტის კალათბურთის მოედანზე გამოდიან ქუთაისისა და ბათუმის კალათბურთელ ვაჟთა გუნდები. მათ შეხვედრამ უნდა გადაწყვიტოს მეორე და მესამე ადგილების ბედი.

მსაჯის სასტვენის ხმა, რამდენიმე წამი და პირველი ბურთი ქუთაისელთა კალათშია. ბათუმელებმა შეხვედრა სწრაფ ტემპში დაიწყეს; მე-4 წუთზე ანგარიშია 4:3 მათ სასარგებლოდ. ქუთაისელები ცდილობენ კონტრშეტევის განვითარებას. 6:6, 8:8... შემდეგ ს. თორთლაძეს და ვ. ჭიჭინაძეს ოსტატური ტყორცნებით თავიანთი გუნდი წინ გაჰყავთ—15:10. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ანგარიში ბათუმელების სასარგებლოდ არის —18:15.

დაძაბულობა სულ უფრო მატულობს. უპირატესობა ხელიდან ხელში გადადის. პირველი ნახევარი მთავრდება 29:27 ქუთაისის კალათბურთელთა სასარგებლოდ.

მეორე ნახევარში ანგარიში დიდხანს თანაბარია—38:38, 39:39, 41:41. ბათუმელებს დაღლილობა ეტყობათ. სარგებლობენ რა ამით, მათი მოწინააღმდეგეები კიდევ უფრო აძლიერებენ ტემპს და იგებენ ამ საინტერესო შეხვედრას ანგარიშით 55:48.

რესპუბლიკის 6 ქალაქის კალათბურთელთა ტრადიციული შეხვედრა დამთავრდა.

5-დღიანი ასპარეზობის შედეგად ვაჟთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა თბილისის გუნდმა, რომელმაც ყველა შეხვედრა წაუგებლად ჩაატარა. მომდევნო ადგილებზე არიან ქუთაისის, ბათუმის, გორის, ფოთისა და სუხუმის კოლექტივები.

ქალთა შორის თბილისელი კალათბურთელები ყოველგვარი კონკურენციის გარეშე აღმოჩნდნენ. მათ დამსახურებულად მოიპოვეს პირველი ადგილი.

მეორე ადგილი ერგოთ ქუთაისელ კალათბურთელებს, მესამე — ბათუმის, ხოლო მეოთხე—სუხუმის წარმომადგენლებს.

გორის ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. გ. როინიშვილმა გამარჯვებულ გუნდებს სადღესასწაულო ვითარებაში გადასცა ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი ჯილდოები.

**ვ. ჯაფარიძე,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## კოლმეურნე ცხენოსნები

სპორტი სოფელ ლიხნის ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეთა საყვარელი საქმეა. სოფლის ახალგაზრდობა თავისუფალ დროს დიდი გატაცებით უთმობს სპორტულ სექციებში მეცადინეობას, აწყობს შეჯიბრებებს, საჩვენებელ გამოსვლებს.

განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს კოლმეურნეთა შორის საცხენოსნო სპორტი. აქ ხშირად ნახავთ ცხენზე მჯდომ ქალარა ბრიგადირსა თუ პატარა ბიჭუნას, სოფლის მასწავლებელსა თუ ახალგაზრდა კოლმეურნე ქალს. ყველა ისინი გატაცებით მონაწილეობენ საცხენოსნო სპორტის ეროვნულ თამაშებში, რომელიც უნერგავს მათ ნებისყოფას, მოხერხებულობას, სისწრაფეს...

აქტივისტ ფიზკულტურელთა ინიციატივით კოლმეურნეობაში შეიქმნა შესანიშნავი სპორტული საჯინიბო, რომელშიც ამჟამად 22 ცხენია. ეს არის ბაზა, რომლის საფუძველზე ვითარდება სპორტის ეს საინტერესო სახე კოლმეურნეობაში.

...ზამთრის თბილი, მზიანი დღეა. კოლმეურნე ცხენოსანთა ვარჯიშის საყურებლად თავი მოიყარა მთელმა სოფელმა. მეცადინეობას ისინდში ატარებს ზ. ანშბა. აი, იგი ფეხდაფეხ მისდევს მეტოქეს. ხელის ძლიერი მოქნევით ანშბა ესვრის ისინდს გაქცეულს და ახვედრებს მას.

ზ. ანშბა გამოცდილი ცხენოსანია. იგი არაერთხელ იყო აფხაზეთისა და საქართველოს ცხენოსანთა ნაკრებ გუნდში, შარშან კი ჩვენი რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას იცავდა მოსკოვში. დახელოვნებული მხედარი დაუღალავად გადასცემს თავის მდიდარ გამოცდილებას ახალგაზრდებს, უწყობს მათ ხელს სპორტული ოსტატობის ამაღლებაში.

...ცხენოსანთა მეორე ჯგუფი ვარჯიშობს ცხენბურთში. ოსტატურად ზის ცხენზე და თავისუფლად ფლობს ჩოგანს ჟ. გუნბა. იგი დიდ სისწრაფეზე შორი მანძილიდან მოხერხებულად აგდებს ბურთს კარში. მაყურებლები ტაშით აჯილდოებენ გუნბას.

იწყება ვარჯიში საველე სვლაში, ჩეხვაში, დოღში. საინტერესო სანახაობა საღამომდე გრძელდება. ცხენოსნები და მაყურებლები ნასიამოვნები ბრუნდებიან სახლებში.



**სურათზე:** მოწინავე კოლმეურნეები ს. ჩამბა (მარცხნივ) და ლ. არძინბა ვარჯიშის დროს.

ფოტო და ტექსტი
ს. კოროტკოვისა.
გუდაუთის რაიონი.

## ძალოსნობა

# 1952 წლის საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრების I ტური

თბილისის ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში ამ დღეებში ჩატარდა ძალოსანთა 1952 წლის საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრების პირველი ტური. შეჯიბრებაში მონაწილეობდა „დინამოს", „პიშჩევიკის", „ისკრის", „სპარტაკის", „ნაუკის", „ტრუდის", „ლოკომოტივის" და ოფიცერთა სახლის 58 შტანგისტი. გუნდურ პირველობაში მონაწილე 4 კოლექტივიდან პირველი ადგილი მოიპოვა „დინამოს" გუნდმა (2.135 კგ.), მეორე — „ისკრამ" (2.108 კგ.), მესამე — „პიშჩევიკმა" (1.575 კგ.), მეოთხე — „სპარტაკმა" (1.427 კგ.)

პირად პირველობაში პირველი ადგილები დაიკავეს: მჩატე წონაში — ა. გრიგორიანმა („პიშჩევიკი") — 227 კგ., ქვემსუბუქში — რ. ჩიმიშკიანმა („დინამო")—327,5 კგ., მსუბუქში — ა. გალოიანმა („ისკრა") — 307,5 კგ., ქვესაშუალოში—მ. ყლენტმა („დინამო") — 340 კგ., საშუალოში — გ. კოშაძემ („ისკრა") — 365 კგ., ქვემძიმეში — ღ. კაპცოვმა („დინამო")—340 კგ., მძიმეში — ი. ქართველიშვილმა („ნაუკა") — 340 კგ.

შეჯიბრებაზე დამყარებულ იქნა სამი რეკორდი. ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა რ. ჩიმიშკიანმა ორი ხელით აიტაცა 102,5 კგ. და აჰკრა 130 კგ. ორივე ეს შედეგი საქართველოს ახალი რეკორდებია. სპორტის ოსტატმა გ. კოშაძემ ორი ხელით აიტაცა 114,85 კგ., რითაც დაამყარა რესპუბლიკის ახალი რეკორდი.

ასპარეზობის შედეგად ერთმა ძალოსანმა უჩვენა სპორტის ოსტატის ნორმა, ექვსმა—I თანრიგისა, თხუთმეტმა — II თანრიგის და თხუთმეტმა — III თანრიგისა.

შეჯიბრებამ გამოამჟღავნა ახალგაზრდა ნიჭიერი ძალოსნები ი. ქართველიშვილი, ნ. ინჯია, ა. ახობაძე („ნაუკა"), ჟ. ბანძავა („პიშჩევიკი"), ვ. ბუხნიკაშვილი („დინამო") და სხვები, რომლებიც სათანადო საწვრთნელი მუშაობის შემდეგ ჩადგებიან ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ძალოსნების რიგებში.



**სურათზე:** საქართველოს რეკორდსმენი, სპორტის ოსტატი გ. კოშაძე შეჯიბრებისას.

ფოტო ა. კრიმსკისა.

* * *

უნდა აღინიშნოს, რომ ასპარეზობაში მონაწილეობა ვერ მიიღო ვერც ერთმა უმაღლესმა სასწავლებელმა, რადგან სტუდენტ ძალოსანთა უმრავლესობამ არდადეგების გამო ვერ გაიარა წინასწარი ვარჯიში. ამან, რასაკვირველია, უარყოფითად იმოქმედა ასპარეზობის სპორტულ შედეგებზე.

შეჯიბრება (მთავარი მსაჯი—საკავშირო კატეგორიის მსაჯი გ. ჩიკვაიძე) ორგანიზებულად ჩატარდა.

**ქ. ზაუტაშვილი,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# „ლოკომოტივის" საოლქო კონფერენცია

**სუხუმი.** (ჩვენი საკ. კორ.). ჩატარდა სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" აფხაზეთის III საოლქო კონფერენცია. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. დონდუა.

მომხსენებელმა ილაპარაკა აფხაზეთის რკინიგზელი სპორტსმენების რესპუბლიკურ, საოლქო და საქალაქო შეჯიბრებებში მონაწილეობაზე, ძირეული კოლექტივების მუშაობის, მშთ ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი კადრების მომზადების შესახებ.

მოხსენებაში ფართო ადგილი ჰქონდა დათმობილი ჩამორჩენილი ფიზკულტურული კოლექტივების კრიტიკას. ჩამორჩენილთა შორის მომხსენებელმა დაასახელა ოჩამჩირის, გალის, ტყვარჩელისა და სხვა სადგურების ფიზკულტურული კოლექტივები ბევრ კოლექტივს არ გააჩნია სპორტული ბაზები, არ მუშაობენ სექციები. ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას ნაკლები ყურადღება ექცევა სუხუმის რკინიგზელთა შორისაც.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. კორსანტიამ, გ. ცანავამ, ხ. ლაგვილავამ, რ. ხაბალაშვილმა და სხვ.

კონფერენციამ მოისმინა და დაამტკიცა სარევიზიო კომისიის ანგარიში.

არჩეულ იქნა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" საოლქო საბჭოს ახალი შემადგენლობა. საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ა. მელაძე.

**პ. ლეთოდიანი**



როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, სსრ კავშირის უმაღლესი სკოლების სამინისტრომ და „ნაუკის" ცენტრალურმა საბჭომ ამას წინათ გამართეს სტუდენტთა პირველობის გათამაშება ფრენბურთში. **სურათზე:** ამ ასპარეზობაში გამარჯვებული საქართველოს ქალთა გუნდი, რომელსაც გადაეცა თასი. მარცხნივ — გუნდის კაპიტანი, სპორტის ოსტატი ე. ხენიუკი.

ფოტო ი. დავითაშვილისა.

## პასუხი შეკითხვაზე

# რატომ იმარჯვებენ საბჭოთა სპორტსმენები

★

### ვ. დვალის (თეთრი წყაროს რაიონი, სოფ. ასურეთი) შეკითხვა

★ ★

ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა სულიერი და ფიზიკური კულტურის აყვავებაგაფურჩქვნისათვის, ადამიანთა ჰარმონიული განვითარებისათვის, საბჭოთა სამშობლოს ყოველმხრივ განვითარებულ, მხნე, მტკიცე ნებისყოფიან, ფიზიკურად ძლიერ პატრიოტთა თაობის აღზრდისათვის.

ფიზიკური კულტურა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის განუყოფელი ელემენტია, იგი საბჭოთა ხალხის შრომისათვის და სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მომზადების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალებაა.

ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში პარტიის XVI ყრილობაზე, დაახასიათა რა სოციალისტური მშენებლობის წარმატებები, აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ „აღვზარდოთ ჯანსაღი, სიცოცხლით სავსე მუშათა ახალი თაობა, რომელიც შესძლებს სათანადო სიმაღლეზე აიყვანოს საბჭოთა ქვეყნის ძლიერება და მკერდით დაიცვას იგი მტრების თავდასხმისაგან".

საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობა თავისი ჩასახვის პირველი დღეებიდანვე გარემოცულია ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ამხანაგი სტალინის შეუნელებელი ზრუნვითა და ყურადღებით. პარტია ყოველდღიურად წარმართავს ჩვენი ფიზკულტურული ორგანიზაციების საქმიანობას, „სტალინური ზრუნვა და ხელმძღვანელობა აღაფრთოვანებს ჩვენს ახალგაზრდობას, თავისუფალ გზას უსახავს მას ფიზიკური და სულიერი ზრდისათვის და სრულყოფისათვის" (ვ. მოლოტოვი).

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის ბოლშევიკური პარტიის მამობრივი მზრუნველობის მკაფიო გამოვლინებას წარმოადგენს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ 1948 წლის დეკემბერში მიღებული ისტორიული დადგენილება. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ფიზკულტურული მუშაობის დარგში მთავარ ამოცანებად დაგვისახა მასობრივფიზკულტურული მოძრაობის ფართოდ გაშლა, სპორტული ოსტატობის დონის ამაღლება და ამის საფუძველზე საბჭოთა სპორტსმენების მიერ უახლოეს წლებში მსოფლიო პირველობის მოპოვება სპორტის წამყვან სახეებში.

ასრულებენ რა პარტიის მითითებებს, საბჭოთა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა პარტიული ორგანიზაციების ყოველდღიური ხელმძღვანელობითა და დახმარებით უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს ფიზიკური კულტურის მასობრივობისათვის, სპორტული ოსტატობის დონის ამაღლებისათვის ბრძოლაში.

განსაკუთრებით დიდია 1951 წელს მოპოვებული წარმატებები. გაიზარდა ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მომეცადინეთა რიცხვი, გაძლიერდა სპორტულ-მასობრივი მუშაობა სოფლად. გასული წლის მანძილზე მომზადებულ იქნა ერთ მილიონამდე თანრიგოსანი, მათ შორის 15 ათასზე მეტი პირველთანრიგოსანი გაცილებით მეტი რაოდენობითაა მომზადებული მშთ ნიშნოსნები. საბჭოთა სპორტსმენებმა შარშან დაამყარეს 521 საკავშირო რეკორდი და 38 შესწორება შეიტანეს მსოფლიო რეკორდების ცხრილში.

საბჭოთა სპორტსმენების მზარდ ოსტატობაზე მკაფიოდ მეტყველებენ აგრეთვე მათი შესანიშნავი გამარჯვებები საერთაშორისო შეხვედრებში.

სტუდენტთა XI მსოფლიო ასპარეზობაში, სადაც 44 ქვეყნის 2.000-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა, საბჭოთა კავშირის წარგზავნილებმა პირველი გუნდური ადგილები მოიპოვეს მძლეოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთში, ჭიდაობაში, კრივში, სიმძიმეების აწევაში, ნიჩბოსნობაში, ტანვარჯიშსა და წყალში ხტომაში, და დაჯილდოებულ იქნენ 158 ოქროს, 60 ვერცხლის და 41 ბრინჯაოს მედლით.

სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდმა შარშან მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის წოდება, ხოლო საბჭოთა კავშირის კალათბურთელ ვაჟთა და ფრენბურთელ ქალთა გუნდებმა ღირსეულად დაიმსახურეს ევროპის ჩემპიონის ტიტული.

ბრწყინვალედ დაიცვეს დედასამშობლოს პრესტიჟი ჩვენმა ფეხბურთელებმა (თბილისის „დინამომ", სტალინოს „შახტიორმა" და მოსკოვის „სპარტაკმა") სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გუნდებთან გამართულ ამხანაგურ შეხვედრებში.

შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს საერთაშორისო შეხვედრებში აგრეთვე საბჭოთა ტანმოვარჯიშეებმა, მოჭიდავეებმა, შტანგისტებმა, მოკრივეებმა, მძლეოსნებმა, მოციგურეებმა, მოთხილამურეებმა და სხვ.

საბჭოთა კავშირში და მის ფარგლებს იქით ფართოდ არის ცნობილი ჩვენი შესანიშნავი, მსოფლიო კლასის სპორტსმენთა სახელები. ესენი არიან მოციგურე ქალები მ. ისაკოვა, ტ. კარელინა, რ. ჟუკოვა; შტანგისტები ნოვაკი, ვორობიოვი, საქსონოვი, რომელთაც მსოფლიო რეკორდები დაამყარეს სიმძიმეების აწევაში; სახელგანთქმული მძლეოსნები: ვ. კაზანცევი, რომელმაც 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში მიაღწია ფენომენალურ შედეგს — 8.49,8; ნ. დუმბაძე, რომელმაც შარშან 12 სანტიმეტრით გადააჭარბა თავისსავე მსოფლიო რეკორდს; ვ. სუხარევი და ნ. ხნიკინა, რომლებმაც თავი ისახელეს, როგორც მსოფლიოს ერთერთმა უძლიერესმა სპრინტერებმა; მსოფლიო ჩემპიონები ჭადრაკში მ. ბოტვინიკი და ო. რუდენკო, გამოჩენილი დიდოსტატები პ. კერესი, დ. ბრონშტეინი, ვ. სმისლოვი, ი. ბოლესლავსკი და მრავალი სხვა.

საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებები შემთხვევითი არ არის. ისინი მოპოვებულია ჩვენს ქვეყანაში მატერიალური და სულიერი კულტურის არნახული აყვავება-გაფურჩქვნის შედეგად.

საერთაშორისო ასპარეზზე საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებები ერთხელ კიდევ ადასტურებენ საბჭოთა კულტურის უპირატესობას ბურჟუაზიული [illegible]ტურის წინაშე, სოციალისტური წყობილების უპირატესობას კაპიტალისტურ წყობილების წინაშე, საბჭოთა დემოკრატიის უპირატესობას ბურჟუაზიული დემოკრატიის წინაშე. საბჭოთა სპორტსმენები მთელი თავიანთი ცხოვრებითა და, მოღვაწეობით განუზომლად მაღლა დგანან ბურჟუაზიული ქვეყნების სპორტსმენებზე.

ბურჟუაზიული სპორტი ახალგაზრდობის შეგნების დაჩლუნგების, მათი გახრწნის საშუალებაა ბურჟუაზიულ წყობილებაში სპორტსმენი საქმოსანთა ჯიბის გასქელების წყაროა, იგი გადაქცეულია ყიდვა-გაყიდვის საგნად.

საბჭოთა სპორტსმენები სულ სხვა სამყაროს, სოციალისტური სამყაროს ადამიანები არიან! ჩვენი სპორტსმენების ძვალსა და რბილშია გამჯდარი საბჭოთა ადამიანებისათვის დამახასიათებელი ძვირფასი თვისებები—ღრმა იდეურობა, სამშობლოსათვის, თავისი ხალხისათვის, მშობლიური ბოლშევიკური პარტიისათვის თავდადება, მაღალი კომუნისტური მორალი. ყველა ეს შესანიშნავი თვისება, აგრეთვე ბრწყინვალე ტექნიკა, სრულყოფილი ტაქტიკა და მაღალი ფიზიკური და მორალური მომზადება საბოლოო ანგარიშში უზრუნველყოფენ საბჭოთა სპორტსმენების შესანიშნავ გამარჯვებებს.

სადაც, რომელ ქვეყანაშიც არ უნდა გამოდიოდნენ შეჯიბრებებზე, საბჭოთა სპორტსმენების აზრები და გრძნობები მუდამ მიმართულია სოციალისტური სამშობლოსაკენ, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისაკენ, ბრძენი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინისაკენ, რომლებიც დაუღალავად ზრუნავენ მათი აღზრდა-განვითარებისათვის, რომელთაც მისცეს მათ შრომის, განათლების, დასვენების უფლება, შეუქმნეს ბედნიერი და სამური ცხოვრება.

საბჭოთა სპორტსმენები ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები არიან. ისინი მთელ საბჭოთა ხალხთან მხარდამხარ თავიანთ ძალებსა და შესაძლებლობებს, მთელს თავიანთ ენერგიას ახმარენ ჩვენი დიადი სამშობლოს შემდგომ აყვავებას, მისი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლის დიად საქმეს.

ჩინეთში და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნგრეთში და ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში და პოლონეთში, რუმინეთში და ალბანეთში ჩვენი ქვეყნის სპორტსმენებს ევებებიან როგორც ძვირფას, ახლობელ მეგობრებს, რადგან ისინი იქ ჩადიან არა მარტო შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად, არამედ იმისათვისაც, რომ გადასცენ იქაურ სპორტსმენებს თავიანთი გამოცდილება.

საბჭოთა სპორტსმენები არავის არ უმალავენ თავიანთი წარმატებების „საიდუმლოებებს" არა მარტო შეჯიბრებების დროს, არამედ მრავალი ერთობლივი საწვრთნელი ვარჯიშის დროსაც ჩვენი სპორტსმენები დიდი ხალისით ეხმარებიან სხვა ქვეყნების ფიზკულტურელებს სპორტული დონის ამაღლებაში. მაგალითად, ცნობილია, რომ რუმინეთის საუკეთესო მტყორცნელის ლია მანოლიუს ოსტატობის ზრდაში დიდი როლი ითამაშა ნ. დუმბაძის რჩევა-დარიგებებმა და მითითებებმა, რომელთა გახორციელების შედეგად მანოლიუმ 10 მეტრით გააუმჯობესა თავისი შედეგი ბადროს ტყორცნაში.

ანდა რომელი ბურჟუაზიული სპორტსმენი მოიქცეოდა ისე კეთილშობილურად, როგორც მოიქცა ჩვენი ცნობილი ჰოკით მხტომელი ნ. ოზოლინი. მან პოლონელ მხტომელს აჩუქა თავისი ყველაზე საუკეთესო ჰოკი და წიგნი, რომელშიც აღწერს თავისი წვრთნის ყველა „საიდუმლოებას".

გასული წლის ზაფხულში ლენინგრადის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდი ფინეთს გაემგზავრა ამხანაგურ შეხვედრებში ფინელები აგებდნენ ძალიან დიდი ანგარიშით. და აი, ლენინგრადელებმა გადაწყვიტეს დახმარებოდნენ ფინელებს ფრენბურთის თამაშის კლასის ამაღლებაში. მათ უამბეს სპორტულ მეტოქეებსა და მწვრთნელებს წვრთნის მეთოდების შესახებ, გააცვნეს თავიანთი ტაქტიკა და რამდენიმე თამაშისათვის შეადგინეს გუნდები, რომელთა შემადგენლობაში ერთდროულად შედიოდნენ საბჭოთა და ფინელი ფრენბურთელები. მტკიცება არ უნდა იმას, რომ არც ერთი ბურჟუაზიული ქვეყნის გუნდი ასე არ მოიქცეოდა.

დიდია საბჭოთა სპორტსმენების მიერ მოპოვებული წარმატებები, მაგრამ მათ, ისე როგორც ყოველ საბჭოთა ადამიანს, არ ჩვევიათ მიღწეულით დაკმაყოფილება. საბჭოთა სპორტსმენები დაუღალავად იბრძვიან ახალი წარმატებებისათვის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილების განუხრელად განხორციელებისათვის.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის საბჭოთა მთავრობის, ბოლშევიკური პარტიის, საყვარელი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის მამობრივი მზრუნველობა იმის საწინდარია, რომ საბჭოთა სპორტსმენები სრულყოფილად დაეუფლებიან სპორტული ტექნიკის მწვერვალებს და უახლოეს წლებში მოიპოვებენ მსოფლიო პირველობას სპორტის წამყვან სახეებში.

**ლ. ასლანიშვილი**

# ჭადრაკი

## მაყურებლის დღიურიდან

# თბილისის 1952 წლის პირველობა

**12 თებერვალი.** ტურნირის ფინიში მწვავე ხასიათს ღებულობს. ჯერ არ შეიძლება ითქვას, ვინ იქნება ჩემპიონი. ამ საპატიო ტიტულზე, სულ ცოტა, ოთხ კაცს აქვს პრეტენზია. ლიდერები შეუპოვრად, თავდადებულად, დიდი დაძაბულობით ატარებენ ყოველ პარტიას.

დღეს, XIII ტურში, ებრალიძემ, რომელსაც ფლავნობის კარვი შესაძლებლობა აქვს, გაჩეჩილაძესთან დებიუტში ვერ მიიღო უპირატესობა. შემდგომში მან გაბედულად გაიყვანა შეტევაზე მეფის პაიკები და ამ იერიშით საგრძნობლად შეავიწროვა მეტოქის ფიგურები. კრიტიკულ მომენტში გაჩეჩილაძემ დაუკვირვებლად გაცვალა ლაზიერები და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. პარტია გადაიდო.

ბლაგიძემ სიცილიური პარტიის სიმაგინის ვარიანტში, რომელიც ალამალიანმა გაითამაშა, პოზიციური უპირატესობა მოიპოვა. შემდგომში მან ოსტატური თამაშით 38-ე სვლაზე გამარჯვებას მიაღწია.

წოწოლაშვილმა მკაცრად დასაჯა დავრანიანი შუა თამაშში დაშვებული შეცდომისათვის: 33-ე სვლაზე დავრანიანი დამარცხდა.

ლაზიერის გამბიტში ელიოზიშვილმა კოხტად ისარგებლა ტიმოფეევის შეცდომებით და 27-ე სვლაზე აიძულა მოწინააღმდეგე ფარხმალი დაეყარა.

გამრეკელმა სიცილიური პარტიის კერესის ვარიანტის წინააღმდეგ, რომელსაც ტუგარინოვმა მიმართა, თამაშის მოსაწონი გეგმა აირჩია, მაგრამ რთულ სიტუაციაში აჩქარდა და დაჰკარგა ხარისხი. ამან გადაწყვიტა პარტიის ბედიც.

არნშტეინს ჯაკობიასთან გადადებულ პარტიაში მოგების იმედი აქვს.

* * *

**14 თებერვალი.** დღეს, ბოლოსწინა — XIV ტურში — ებრალიძემ მაღალ შემოქმედებით დონეზე ჩაატარა პარტია არნშტეინთან. მხედრის ლამაზი მანევრით ოსტატმა მოწინააღმდეგე ჯერ „ნოკდაუნში" ჩააგდო, ხოლო შემდეგ მეტოქის მეფეს ღრმა „ნოკაუტი" გაუკეთა.

გამრეკელი მწვავე კომბინაციური მოჭადრაკეა. მას აინტერესებს მძაფრი შეტევა, დაუნდობელი „ხოცვა-ჟლეტა". დღეს მას მოწინააღმდეგედ ჰყავდა ჯაკობია. დებიუტი — ალიოხინის დაცვა — მწვავედ გაითამაშეს. დაიწყო ნამდვილად ხელჩართული ბრძოლა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა კაცს, თითქოს აზრების გასახორციელებლად მათ არ ჰყოფნიდათ 64-უჯრედიანი დაფა.

კომბინაციურ მუქარებს შედეგი არ მოჰყვა, ორივე ფხიზლად ადევნებდა თვალყურს ფიგურების გადაჯგუფებას. ბოლოს, ჯაკობია შეცდა და ფიგურა წააგო, რის შემდეგ გამრეკელმა პარტია გამარჯვებამდე ადვილად მიიყვანა.

ელიოზიშვილმა წოწოლაშვილთან ოთხი მხედრის დებიუტში თეორიის უცოდინარობა გამოამჟღავნა და მძიმე გამსაცდელში ჩავარდა. იგი მადლობელი უნდა იყოს წოწოლაშვილისა, რომელმაც მოსაგებ მდგომარეობაში ვერ მონახა იერიშის გაღვივების გზები და მეტოქეს მდგომარეობის გათანაბრების საშუალება მისცა. პარტიის მეორე ნახევარი ელიოზიშვილმა კარგად ჩაატარა, მოიგო ორი პაიკი და მე-40 სვლაზე პარტიაც.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ტიმოფეევის სწრაფმა შეტევამ, რომელიც მან ტუგარინოვის მეფეზე მიიტანა. გამოუვალი შამათის გამო ტუგარინოვი დანებდა.

თეორიული ღირებულებისაა თაბორიძე — ბლაგიძის პარტიის დებიუტი. ბლაგიძე შეეცადა გაეუმჯობესებინა ესპანური პარტიის პანოვის ვარიანტი; მართლაც, მან მხედრის სვლით კარგი პოზიცია მიიღო, მაგრამ შემდგომში თამაშის სწორი გაგრძელება ვერ აირჩია და უკვე მე-40 სვლაზე კაპიტულაცია მოახდინა.

გადადებულ პარტიებში ალამალიანს მოსაგები მდგომარეობა აქვს დავრანიანთან, ხოლო ბუსლაევს — გაჩეჩილაძესთან.

* * *

**15 თებერვალი.** დღეს შედგა გადადებული პარტიების დამთავრება.

არნშტეინმა დაამარცხა დავრანიანი და ტუგარინოვი. უპასუხისმგებლოდ მოიქცა ელიოზიშვილი არნშტეინთან უარეს მდგომარეობაში გადადებული პარტიის გაგრძელება მან არ მოისურვა და თამაშზე არ გამოცხადდა, რის გამოც წაგება მიესაჯა. თამაშის განუახლებლად გაჩეჩილაძე დანებდა ბუსლაევს, ხოლო ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ტუგარინოვთან ყაიმს მიაღწია.

ალამალიანმა საუცხოოდ გამოიყენა თავისი მატერიალური და პოზიციური უპირატესობა და მოუგო თაბორიძესა და დავრანიანს.

ტიმოფეევმა ტექნიკურად ზუსტად ჩაატარა ენდშპილი და დაამარცხა ბლაგიძე.

განსაკუთრებული სიმწვავით განახლდა ბრძოლა ჯაკობია—ებრალიძის პარტიაში. ოსტატმა პარტიის განახლებისას ვერ ითამაშა კარგად და ჯაკობიამ კვლავ საშინლად დახლართა პოზიცია. პარტია 81-ე სვლაზე კვლავ გადაიდო ებრალიძისათვის მოსაგებ მდგომარეობაში. ოთხი პარტია კვლავ გადადებულია.

**ნ. იმედაშვილი**

# ტურისტთა ლაშქრობა

თებერვლის პირველ რიცხვებში თბილისსა და მის მიდამოებში თოვლი მოვიდა. კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმის სტუდენტმა ტურისტებმა გადაწყვიტეს ესარგებლათ ამ ამინდით და მოეწყოთ სათხილამურო ლაშქრობა. მათ განიზრახეს გზად დაეთვალიერებინათ სამგორის მშენებლობის ზოგიერთი ადგილები.

5 თებერვალს, დილაადრიან, ოთხი კაცი—ბ. სივცოვი, ე. შტოგრინი, ე. გეტმანოვი და მ. ენიკოლოფოვი გზას გაუდგნენ. მათ ჩაუარეს თბილისის ზღვას, რომელიც თანდათან ივსება ივრის წყლით, გაიარეს პატარა ლილო, ნორიო და იმ ღამეს ნორიოს ზევით დაბანაკდნენ. მეორე დღეს მათ გრძელი და ძნელი გზა ჰქონდათ გასავლელი — ლელუბნის, ცხვარიჭამიას და საბადურისყელის გადასასვლელები. რამდენიმე საათის შემდეგ მოლაშქრეები ერწოსველზე აღმოჩნდნენ, გადასერეს იგი და გავიდნენ სოფ. ორხევთან.

მოთხილამურეებს ივრის ხეობაში სოფ. პალდოს მახლობლად შემოაღამდათ. დილით ისინი თბილისისაკენ დაბრუნდნენ.

...უკვე დაღამებული იყო, როდესაც დაღლილი, მაგრამ კმაყოფილი სპორტსმენები გაჩირაღდნებულ თბილისში შემოვიდნენ.

სტუდენტებმა სამ დღეში გაიარეს 160 კილომეტრზე მეტი მანძილი, გადალახეს სამი უღელტეხილი, რითაც შეასრულეს I კატეგორიის სიძნელის საზამთრო ლაშქრობის ნორმები.

თბილისის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმის სტუდენტთა ეს ინიციატივა მისაბაძია. პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი ტურიზმის განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში.

**დ. ფურცელაძე**

## ვარჯიშობენ მწვანე მინდორზე

უჩვეულოდ შეიცვალა ამინდი თელავში. თუ ამ ორი-სამი კვირის წინ ნახევარ მეტრამდე თოვლი ფარავდა მიწას და სპორტსმენი მოთხილამურეები გადიოდნენ საწვრთნელ ვარჯიშს, ახლა... მწვანე მინდორზე სავარჯიშოდ გამოვიდნენ ფეხბურთელები, რომელთაც წვრთნის სპორტის ოსტატი ა. დოროხოვი.

დიდი მონდომებით დაიწყეს საწვრთნელი მეცადინეობა სპორტული სკოლის ახალგაზრდა ფეხბურთელებმა.

ღია ცის ქვეშ ვარჯიშს შეუდგნენ აგრეთვე „სპარტაკისა" და პედაგოგიური ინსტიტუტის ფეხბურთელები.

**ა. სახიევი**

თელავი.

# ზამთარში







**საქართველოს 1952 წლის ჩემპიონები სათხილამურო სპორტში ასპარეზობისას: ზემოთ—პ. კოზანაშვილი სლალომის ტრასაზე, შუაში — ს. პეტროსიანი 50 კილომეტრზე რბენისას, ქვევით — ვ. დმიტრიევი საკვებ პუნქტთან.**

ფოტო **მ. ზარგარიანისა**

# პლანერისტ ვ. სიმონოვის საკავშირო რეკორდი

12 თებერვალს სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო სპორტულმა კომისიამ საკავშირო რეკორდად დაამტკიცა მოსკოველი პლანერისტის ვ. ი. სიმონოვის მიღწევა.

სპორტსმენმა სიმონოვმა 1.475 მეტრ სიმაღლეზე თვითმფრინავიდან პლანერის მოხსნის შემდეგ განაგრძო დამოუკიდებლად ფრენა და მიაღწია 6.375 მეტრ სიმაღლეს, რითაც დაამყარა სიმაღლეზე ფრენის საკავშირო რეკორდი. (საკდესი).

## მათი ზნე-ჩვეულებანი

# ჯეკ ჯონსონიდან—სანდი სადლერსამდე

1908 წელს ზანგმა მოკრივემ ჯეკ ჯონსონმა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. რასობრივი შოვინიზმით გამსჭვალულმა ამერიკის სპორტის მესვეურებმა გულმოდგინედ დაუწყეს ძებნა მოკრივეს, რომელიც „თეთრკანიანთა დაკარგული პრესტიჟის" აღდგენას შეძლებდა. არჩევანი შეჩერდა ვინმე ჯემს ჯეფერისზე, რომელსაც გამოცდილებით დაუწყეს წვრთნა კრივის საუკეთესო სპეციალისტებმა და აი, 1910 წლის 4 ივლისს მეშახტეთა პატარა ქალაქ რენოს მახლობლად დაინიშნა „მატჩ-რევანში".

ხალხით გაჭედილი ვეებერთელა ამფითეატრი ყრუდ გუგუნებს. ათასი პროჟექტორის შუქით გაბრჭყვიალებული რინგი ცარიელია,—რამდენიმე წუთის შემდეგ უნდა დაიწყოს ჩემპიონის ტიტულის პრეტენდენტთა ბრძოლა... რინგის გარშემო რკალად შემორტყმულ კორესპონდენტთა და ფოტორეპორტიორთა არმიას მოუთმენლობა ეტყობა.

... მეტოქეები ერთმანეთის პირისპირ დგანან. კრივის უძველესი ტრადიციის თანახმად ჯონსონი ხელის ჩამოსართმევად გაემართა ჯეფერისისკენ, მაგრამ „თეთრი" მოკრივე დემონსტრაციულად აქცევს მას ზურგს. ზანგი გაკვირვებული იჩეჩს მხრებს და ბრუნდება თავის კუთხეში. დარბაზში კმაყოფილების ტაში ჰქუხს: მაყურებლებმა ღირსეულად შეაფასეს „თეთრის" საქციელი.

ასე დაიწყო კრივის ისტორიაში ყველაზე უფრო ტენდენციური, უთანასწორო და სისხლიანი შეხვედრა.

პირველი რაუნდის ბოლოს ჯეფერისი მუცლის არეში რამდენჯერმე ძლიერად ურტყამს ზანგს. ტრიბუნებზე აღტაცების ოვაცია იმართება... ამავე დროს, რაგინდ ოსტატური დარტყმა არ განახორციელოს ჯონსონმა, ხალხი მას ბოროტი დუმილით ხვდება. რაუნდის ბოლოს, ზანგი მოკრივე მხიარულად ეკითხება მოწინააღმდეგეს:

—რატომ თქვენც არ იღიმებით, მისტერ ჯემს?

მე-6 რაუნდში ჯონსონს დარბაზიდან ვიღაც პისტოლეტს ესვრის. საბედნიეროდ, ტყვია მიზანს არ აღწევს და ზანგი... იღიმება. მისი თავდაჭერა პირდაპირ ზღაპრულია.

მე-8 რაუნდის ბოლოს ჯონსონი გამხნევების მიზნით მხარზე ურტყამს ხელს აქლოშინებულ ჯეფერისს. მე-15 რაუნდში ზანგი ძლიერი დარტყმით იატაკზე ანარცხებს მეტოქეს; ხედავენ რა, რომ ჯეფერისი ფეხზე ვერ დგება, ერთი მაყურებელი (ჯეფერისის ძმა) უცერემონიოდ არბის რინგზე და სანამ მსაჯი ათს დაითვლის, ფეხზე აყენებს დარეტიანებულ ჯეფერისს. ეს კრივის წესების უხეში დარღვევაა, მაგრამ დღეს ყველაფერი დაიშვება, რაც ზანგის საწინააღმდეგოდაა მიმართული; წესებით კი მხოლოდ ერთი ადამიანი—ჯონსონი ხელმძღვანელობს.

მიუხედავად ამ უთანასწორო ბრძოლისა, ზანგი იმარჯვებს და ინარჩუნებს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულს.

ძვირად დაუჯდათ ჯონსონის გამარჯვება მის თანამემამულეებს. მატჩის შემდეგ მთელ ამერიკაში დაიწყო ზანგების მასობრივი დარბევა, ახალი ძალით იფეთქა ლინჩის სასამართლომ. ზანგებს თავს ესხმოდნენ ყველგან—სახლებში, ქუჩებში, თავსაყრელ ადგილებში... მათ უმოწყალოდ სცემდნენ. ასობით დასახიჩრებული და მოკლული ზანგი ამ სისხლიან დღეებში — აი, ფინალი მატჩისა.

„ამერიკის სპორტი მისი თანამედროვე სახით ემსახურება მიზანს, რომელიც რადიკალურად ეწინააღმდეგება ადამიანთა ჯანსაღ ფიზიკურ აღზრდას", — ასე ახასიათებს ამერიკულ სპორტს ფრანგი მძლეოსანი ჟორჟ ებერი. ებერის ეს სიტყვები, ცხადია, უდაო ჭეშმარიტებაა, მაგრამ აქ ლაპარაკია საქმის მხოლოდ ერთ მხარეზე. ამერიკული სპორტი დიდი ხანია გაცდა ადამიანის ფიზიკური აღზრდის სამსახურის ფარგლებს; ამჟამად იგი ემსახურება უხეში ძალის ბატონობის, სიმხეცისა და მკვლელობის პროპაგანდას.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დიდი ხანია დაჰკარგა ფასი ისეთმა სანახაობამ, რომელშიც არ არის სისხლის ღვრა, ცემა-ტყეპა, დასახიჩრება, ველურობის რაიმე გამოვლინება ამავე დროს, სპორტული სანახაობა სრულყოფილია მხოლოდ მაშინ, როდესაც დამარცხებულის როლში შავკანიანი გამოდის. ამ შემთხვევაში, როგორც იქ ამბობენ, ყველაფერი რიგზეა, სულიერი სიმშვიდე მოპოვებულია.

ამას წინათ, ამერიკაში გაიმართა მატჩი მსოფლიო პირველობაზე მძიმე წონის მოკრივეთა ზანგ სანდი სადლერსა და „თეთრ" ვილი პეპს შორის. ფრანგული სპორტული ჟურნალი „მიროარ სპრინტი" ასე აღწერს ამ შეხვედრას: „აქ შეიძლებოდა ყველაფრის ნახვა — კეჩის, ჭიდაობის, აკრობატიკის და მცირეოდენი კრივისაც კი".

ამერიკელმა რასისტებმა ეს შეხვედრა გამოიყენეს ზანგების მიმართ რასობრივი სიძულვილის კიდევ უფრო გასაღვივებლად.

ამ ამაზრზენმა სანახაობამ, რომელსაც კრივთან ძალიან ცოტა ჰქონდა საერთო, ამერიკის მშრომელთა ფართო მასების სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. საქმე იქამდე მივიდა, რომ მატჩის ორგანიზატორებმა მოკრივეების წინააღმდეგ აღძრეს სასამართლო პროცესი. თურმე ყველაფერში დამნაშავენი მოკრივეები ყოფილან!

ჯონსონ — ჯეფერისის მატჩიდან გავიდა ნახევარ საუკუნეზე ცოტა ნაკლები, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ამერიკის სპორტულ ცხოვრებას (და განა მარტო სპორტულ ცხოვრებას) პროგრესის არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობა. თუ გუშინ „პროგრესულ" ამერიკელთა გულისწყრომის მიზეზი „დიადი ზანგი" ჯეკ ჯონსონი და მისი თანამემამულეები იყვნენ, დღეს მათი ადგილი სანდი სადლერსმა და მისი ფერის ადამიანებმა დაიჭირეს.

**ნ. გუგუშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლანგრის წრეში...

## ერთი ძველი სიმღერის მოტივზე

არის ერთი ძველი ქალაქური სიმღერა, რომელსაც უწინ მღეროდნენ — „გიყიდი, გიყიდი, გრამაფონს, როცა ფული მექნება". დაპირება გრამოფონის ყიდვის თაობაზე ამ უბრალო სიმღერაში ფრიად პრობლემატურადაა დასმული და ისე იმღერება, რომ ადვილად მიხვდებით — დამპირებელი ნაღდად არ იყიდის გრამოფონს.

დაახლოებით ასეთ მოტივზე და ასეთი ტონით უმღერიან სტალინირის ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის გამგებელნი ქალაქის შტანგისტებს.

სტალინირელი შტანგისტების საცოდაობა მაშინ დაიწყო, როცა მათ კომიტეტმა ერთადერთი, საკმაოდ მოძველებული, ქანგიანი შტანგა ჩამოართვა და სხვა ორგანიზაციას უბოძა.

— ჩვენ რაღას გვპირებთ, კომიტეტო! რითი ვივარჯიშოთ?—გულამოსკვნილად შეჰღაღადეს სპორტსმენებმა.

— გიყიდით, გიყიდით, შტანგას. ახალს, პირველხარისხოვანს, პრიალას,—იყო პასუხი. რაღა ეთქმოდათ შტანგისტებს, გადაწყვიტეს მოეცადათ.

იცადეს, იცადეს...

საქალაქო სექციის მწვრთნელი ვ. მიხაილოვი თადარიგიანი კაცი გამოდგა: ითხოვა პედაგოგიური ინსტიტუტიდან შტანგა და ძალოსნებმა განაგრძეს წვრთნა.

გავიდა ამასობაში ზაფხული, სექტემბერი, ოქტომბერი. ცივდა. ინსტიტუტმა წაიღო თავისი შტანგა და ისევ დარჩა სექცია უმოქმედოდ. ახლა მათ არც დარბაზი ჰქონდათ, არც ინვენტარი.

გამოსავალი კვლავ მიხაილოვმა ჰპოვა. დიდი ვედრების შემდეგ მოულბო გული „დინამოს" საოლქო საბჭოს ხელმძღვანელებს და გამოითხოვა სამეცადინო ოთახიცა და შტანგაც. კვლავ განახლდა მუშაობა, მაგრამ დიდი ხნის დაულაგებელ ოთახში ფანჯრები ჩამტვრეულია, საშინლად ცივა.

—ეს მაინც გაგვიკეთეთ, ჩასვით მინები, ცოტათი მაინც მოგვიწესრიგეთ ოთახი.

— გიყიდით, გიყიდით, შტანგას. ახალს, პირველხარისხოვანს, პრიალას, — თუთიყუშივით გაზეპირებული სიტყვებით პასუხობენ სპორტსმენებს კომიტეტიდან.

გრამოფონის ყიდვას უფრო ჰგავს ეს დაპირება, ვიდრე საქმიან სიტყვას.

ნ. ზადიშვილი,
ვ. მელქოევი.

## სკანდალი სასადილოში

ეს სკანდალი მოხდა ახლახან, საქართველოს მოთხილამურეთა XVII პირველობის გათამაშების დროს.

სადილის დრო იყო. დილის შეჯიბრებების შემდეგ დაღლილი სპორტსმენები წყნარად შეექცეოდნენ კერძს. ყველაფერი რიგზე იყო: სასადილო სასადილოს ჰგავდა, მოსადილენი — მოსადილეებს.

ვინ იცის, რა არ მოეწონა ახალქალაქის მოთხილამურეთა გუნდის წარმომადგენელს, ახალქალაქის ფიზკულტურის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. მ. ოგანესიანს. ოფიციანტს ზედმეტი მოსთხოვა თუ კერძი არ მოეწონა, ატეხა თავმჯდომარემ ერთი აურზაური. იგი ჯერ ოფიციანტს ეჩხუბა, შემზარავი ხმით გაჰკიოდა მთელს სასადილოში და მენიუთი გაუთვალისწინებელ „დესერტს" „აფრქვევდა" იქ მყოფთ.

როცა თავგასული დებოშირის გაჩუმებას საშველი არ დაადგა, მასთან მივიდა თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა მწვრთნელი გ. ავალიშვილი და თხოვა შეეწყვიტა ხმაური.

—მე ეს მაკადრესო?! ყვინჩილასავით აიფოფრა ოგანესიანი და ისეთი ამბავი ატეხა, რომ სასადილო წამში ჯოჯოხეთს დაემსგავსა.

კარგა ხანს გრგვინავდა წარმომადგენლის სოლო, რომელიც მალე დუეტში გადავიდა: თავისი ხელმძღვანელის მაგალითის წახედვით სკანდალში ჩაება ახალქალაქელი მოთხილამურე ვ. ვექილიანიც. ვერაფრით ვერ მოახერხეს სასადილოში მყოფებმა მათი დაშოშმინება, „რაინდები" არავის არ იკარებდნენ ახლოს.

სათხილამურო პირველობის გათამაშების მსაჯთა კოლეგიამ განიხილა ეს ინციდენტი და სამართლიანი დადგენილება გამოიტანა: ოგანესიანი მოხსნილ იქნა გუნდის წარმომადგენლობიდან, ვექილიანს კი გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

მაგრამ ასეთი რბილი ფინალი ამ საქმეს წერტილს ვერ დაუსვამს. ვფიქრობთ, სკანდალის ისტორიაზე კიდევ უნდა ვიმსჯელოთ...

რ. ქორქაშვილი

## სპორტსმენებმა მოკლეს მგელი

ბაკურიანის მიდამოებში ზამთარში მრავლად არიან მგლები. მთებში დიდი თოვლისაგან და შიმშილისაგან შეწუხებულნი, ისინი დაძრწიან დაბის გარშემო, ეფარებიან ახლო-მახლო ტყეებს და ხელსაყრელ მომენტს ეძებენ საქონელზე თავდასხმისათვის.

განსაკუთრებულ ზარალს აყენებდა კოლმეურნეებს ერთი ხვადი მგელი, რომელიც თავისი სიდიდით მკვეთრად გამოირჩეოდა დანარჩენთაგან. თითქმის ორი წელი სდიეს ამ მგელს მონადირეებმა, ერთხელ დაჭრეს კიდეც, მაგრამ ნადირი ყოველთვის უსხლტებოდა მათ.

პირველთანრიგოსანმა მოთხილამურემ ნ. მიქაბერიძემ და მონადირე ვ. ივანოვმა გადაწყვიტეს მგლის მოკვლა. რამდენჯერმე ჩაუსაფრდნენ ისინი მტაცებელს, მაგრამ მგელი თითქოს გუმანით გრძნობდა ხიფათს და სოფელს სხვა მხრიდან ეწვევოდა ხოლმე.

27 იანვარს მონადირეებმა ლეში დაუგდეს მგელს და ჩაუსაფრდნენ. რამდენიმე საათის ცდის შემდეგ მშიერი ნადირი ფრთხილად გამოვიდა ტყიდან და, იყნოსა რა ლეშის სუნი, მისკენ გაემართა. ამ დროს თითქმის ერთდროულად იქუხა ორმა თოფმა და საკოლმეურნეო დოვლათის დაუძინებელი მტერი უსულოდ დაეცა თოვლზე.

ბ. ბარდაველიძე

ბაკურიანი.

—○—

## მასწავლებელთა ტურნირი

მანგლისი. აქ გაიმართა მანგლისის საშუალო სკოლისა და სოფელ დიდი თონეთის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელთა ამხანაგური შეხვედრა ჭადრაკში. გაიმარჯვეს მანგლისელებმა — 7½ : 3½.

ვ. გოზალიშვილი

## ამოცანა № 7

დ. სახვაძე
(ტყიბული)



შამათი 2 სვლაში



უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში უნგრელ მოტომარბიელთა კავშირმა ამას წინათ მედერის მთების რაიონში გამართა დიდი მოტორბოლა.

სურათზე: მოტორბოლაში ერთ-ერთი გამარჯვებული ლასლო სალკაი დისტანციაზე.

(საკდესი).

★ ★

## მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიო პირველობა

10 თებერვალს ბომბეიში (ინდოეთი) დამთავრდა 1952 წლის მსოფლიო პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ უნგრეთის, ინგლისის, რუმინეთის, იაპონიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები.

ვაჟთა შორის ჩემპიონის სახელი მოიპოვა იაპონელმა სატომ, რომელმაც ფინალში ანგარიშით 3:0 (21:19, 21:17, 21:14) დაამარცხა კოციანი (უნგრეთი).

ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდება შეინარჩუნა რუმინელმა ა. როზეანუმ. ფინალში მან მწვავე ბრძოლის შემდეგ, ანგარიშით 3:2 (21:17, 11:21, 21:18, 17:21, 21:14) მოუგო უნგრელ გ. ფარკაშს.

ვაჟთა და ქალთა წყვილებში გამარჯვებულნი გამოვიდნენ იაპონელი სპორტსმენები. ვაჟთა ფინალში იაპონელებმა ფუჯიიმ და რაასიმ მოუგეს ინგლისელებს ლიჩსა და ბერმანს (3:2); ხოლო ქალთა ფინალში მიკიმურამ და ნარახარამ — დებს დ. და რ. როუებს (ინგლისი).

შერეულ წყვილთა შორის მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ შიდო (უნგრეთი) და ა. როზეანუ, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს ლიჩი და დ. როუი (3:0).

გუნდურ ჩათვლაში ვაჟთა შორის გამარჯვება მოიპოვეს უნგრელებმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს ინგლისის გუნდი (5:4); ქალებში ყველას აჯობეს იაპონელებმა.

ბომბეიში შემდგარ მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის სხდომაზე გადაწყდა სპორტის ამ სახეში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარება ქ. ბუქარესტში 1953 წელს.

## ი. ანდერსენის მსოფლიო რეკორდი

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 10 თებერვალს ევროპის 1952 წლის ჩემპიონმა, მსოფლიო რეკორდსმენმა ი. ანდერსენმა (ნორვეგია) ხამარეში გამართულ მოციგურეთა შეჯიბრებაზე დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი 10.000 მეტრზე რბენაში — 16 : 32,6.

## საბჭოთა სპორტული დელეგაციის გამგზავრება ოსლოში

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან ოსლოს გაემგზავრა საბჭოთა სპორტული დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები ვ. ანდრეევი და ზ. ბოლოტოვა.

## მოკრივეთა შეხვედრები

ჰელსინკი. აქ მესუხალის დარბაზში გაიმართა ფინეთისა და ნორვეგიის მოკრივეთა ნაკრები გუნდების საერთაშორისო მატჩი. გაიმარჯვეს ფინელებმა ანგარიშით 8:2. მოგვყავს შეხვედრების შედეგები წონითი კატეგორიების მიხედვით: ლუუკონენმა (ფინ.) ქულებით მოუგო კლაუზენს, ხემელაინენმა (ფინ.) მეორე რაუნდში ნოკაუტი გაუკეთა რისანს, ნიინვუორიმ (ფინ.) ქულებით მოუგო ნესგარდტს, ლეხტევამ (ფინ.) მოუგო რუფენსს, ხანსენმა (ნორვეგია) მეორე რაუნდში ნოკაუტი გაუკეთა მეკილეს, მალმიკოსკიმ (ფინ.) ქულებით მოუგო იოხანსენს, ტანდრევოლდმა (ნორვ.) — კონტალას, გრენროოსმა (ფინ.) პირველ რაუნდში ნოკაუტი გაუკეთა ტორესენს, სილიანდერმა (ფინ.) ქულებით მოუგო აბერგს, კოსკიმ (ფინ.) მესამე რაუნდში ნოკაუტი გაუკეთა ოლსენს.

* * *

შვეციის და დანიის უძლიერეს მოკრივეთა ტრადიციული შეხვედრა დამთავრდა დანიელთა გამარჯვებით — 7:3.

ცხარე ბრძოლებით აღინიშნა ფინეთისა და პოლონეთის მოკრივეთა შეხვედრა. გაიმარჯვეს ფინელებმა ანგარიშით 6:4.

## ოლიმპიური თამაშების წინ

ავსტრალიაში გაცხოველებით ემზადებიან ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისათვის, რომელიც ჩატარდება ჰელსინკში.

ამას წინათ მძლეოსანთა საწვრთნელი შეჯიბრების დროს გაუმჯობესებულ იქნა ავსტრალიის ორი რეკორდი. 1.500 მეტრზე რბენაში ახალგაზრდა მაკ-მილანმა აჩვენა 3:51,8, რითაც საგრძნობლად გააუმჯობესა 193.. წელს ბაჩხოუზას მიერ დამყარებული რეკორდი — 3:56,4. 10.000 მ. რბენაში ბერის ჰქონდა სარეკორდო დრო — 30:30,6.

## ყოველი მხრიდან

ნეაპოლი. აქ გაიმართა იტალიისა და ბელგიის ფეხბურთელთა ნაკრები ეროვნული გუნდების შეხვედრა. მატჩის ანგარიშია 2:2.

ოსლო. შვეციის და ნორვეგიის ჰოკეისტთა ნაკრები ოლიმპიური გუნდების შეხვედრა დამთავრდა შვედების გამარჯვებით—6:2 (1:0; 2:1 და 3:1).

სტამბოლი. „დიუჰარდენის" (შვეცია) ფეხბურთელთა გუნდმა დამარცხება განიცადა თურქეთის ჩემპიონთან „ბეზიკტასთან" შეხვედრაში — 1:3.

# ცირკი
## რინგზე არიან... დათვები

ამ დღეს თბილისის სახელმწიფო ცირკის არენა სპორტულ მოედანს ჰგავდა. აქ იყვნენ აკრობატები და ცხენოსნები, მხტომელები და ტანმოვარჯიშეები... ისინი საქმის დიდი ცოდნით ახდენდნენ საცირკო ხელოვნების დემონსტრაციას.

გაოცების ღიმილს იწვევდნენ მხოლოდ „სპორტსმენები" — საცირკო ხელოვნების გამოჩენილი ოსტატის, დათვების ცნობილი მომთვინიერებლის ვ. ი. ფილატოვის „ანსამბლის" მონაწილენი. ფილატოვის გასტროლები თბილისის მაყურებელთა დიდი მოწონებით სარგებლობს. მართლაც, „სპორტსმენი" დათვების გამოსვლა უაღრესად საინტერესო სურათს წარმოადგენს.

...აი, არენაზე დიდი სისწრაფით მოქრიან „ველომარბიელი" დათვები. განსაცვიფრებელი ოსტატობით უსწრებენ ისინი ერთმანეთს, ცდილობენ გვერდი აუარონ წინ გაჭრილს და უხვევენ მთელ სიჩქარეზე. ყოველივე ამას დათვები აკეთებენ ოდნავი დაძაბულობის გარეშე. საინტერესო აკრობატულ ნომრებს უჩვენებენ მაყურებლებს დათვები — საჰაერო გიმნასტები და აკრობატთა სამეული, ოსტატურად დასრიალებენ საკისურებიან ციგურებზე ძმები რახატლუკუმოვები.

...დიქტორი აცხადებს: რამდენიმე წუთის შემდეგ დაიწყება შეხვედრა მძიმე წონის „მოკრივეებს" — მედვედევსა და კოსოლაპოვს შორის. რინგზე გამოდიან „მოწინააღმდეგეები". მსაჯის ვ. ფილატოვის სასტვენზე იწყება მატჩი. პირველ რაუნდს მცირე უპირატესობით იგებს უფრო აქტიური კოსოლაპოვი. იგი ინიციატივას არც მეორე რაუნდში უშვებს ხელიდან და გამარჯვებაც მას რჩება.

მრავალრიცხოვანი მაყურებელი მქუხარე ტაშით აჯილდოებს ფილატოვის მრავალი წლის მუშაობის ნაყოფს.

* * *

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს პროგრამის სხვა ნომრებიც. მაღალ ოსტატობას ამჟღავნებს ფედოსოვების აკრობატ მხტომელთა ჯგუფი. ეს ხუთეული მშვენივრად არის დაუფლებული ხტომის ურთულეს ტექნიკას და არაჩვეულებრივი სიზუსტით ასრულებს ყოველ ნომერს. შესანიშნავ დახელოვნებას იჩენენ აკრობატები ძმები მარენკოვები.

პროგრამის ერთ-ერთი მთავარი ნომერია ალი-ბეკ კანტემიროვის ცხენოსანთა ჯგუფის გამოსვლა. მაყურებლების საერთო აღტაცებას იწვევს მხედართა მაღალი კლასი. განსაკუთრებით კარგად არის დამუშავებული ჯირითის, ჩეხვისა და მიზანში სროლის ეპიზოდები.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ თბილისის სახელმწიფო ცირკის ახალი პროგრამა დიდი გემოვნებით არის შედგენილი.

ბ. ნადარაია



სურათზე: „ველომარბიელი" დათვი არენაზე.

ფოტო კ. კრიმსკისა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12; დეპეშებისათვის თბილისი „ლელო". ტელეფონი 3-90-31
ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ № 14.
უე 00237